

რუსეთისა და თურქეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში,
საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ

მარიამ ლევიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა,
კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	4
სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა	7
თურქეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.....	11
<i>თურქეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობები.....</i>	15
<i>ურთიერთობების ნორმალიზება სომხეთთან.....</i>	16
<i>საქართველო–თურქეთის კავშირი</i>	17
რუსეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ.....	19
<i>რუსეთის ინტერესების გატარება</i>	22
თურქეთი და რუსეთი – ინტერესების დამთხვევა თუ აცილება.....	26
თურქეთი–აზერბაიჯანი–საქართველოს კავშირის იდეა.....	33
დასკვნა	38
გამოყენებული ლიტერატურა	40

აბსტრაქტი

რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობებში ყოველთვის ჩანდა მეტოქეობა ერთმანეთის მიმართ და არასდროს ხასიათდებოდა როგორც მეგობრული. დაწყებული იმ დროიდან, როდესაც ოსმალეთის იმპერიასა და მეფის რუსეთს შორის, XVII—XIX საუკუნეებში ცამეტი შეტაკება მოხდა, სხვადასხვა დროს, ტერიტორიის გაფართოებისათვის ბალკანეთიდან კასპიის ზღვამდე.

საუკუნოვანი დაპირისპირება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც გაგრძელდა. პოსტსაბჭოთა სივრცე და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასია თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო სატრანზიტო დერეფანი და გეოსტრატეგიული დავის საგანი გახდა. რუსეთი და თურქეთი კვლავ მეტოქეებად ითვლებოდნენ კავკასიაში დომინანტობის მოპოვების საკითხში.

თუმცა ამ შეჯიბრის მიუხედავად, გარკვეული დაახლოების პროცესმა დაიწყო გაღვივება ამ ორ სახელმწიფოს შორის. ქვეყნების ეკონომიკურ და ენერგო საკითხებში თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლო აღმოჩნდა მათთვის.

ეს ნაშრომი ცდილობს პასუხი გასცეს, როგორ შეიძლება მოსკოვი–ანკარას ურთიერთქმედება დახასიათებული იყოს სამხრეთ კავკასიაში, ამ ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გაანალიზებით რეგიონის მიმართ და ასევე გასული ათწლეულების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოვლენების დინამიკისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.